ავიცენა
ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

„დამტკიცებულია“

შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 05 დეკემბრის №01-09/50 ბრძანების №1 დანართი

ავიცენა
ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის
დისტანციური სწავლების ადმინისტრირების წესი

2022

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 1
მუხლი 2. დისტანციური სწავლება 1
მუხლი 3. პერსონალისა და სტუდენტთა უფლება-მოვალეობები 2
მუხლი 4. დისტანციური სწავლების მონიტორინგი 3

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს ,,ავიცენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტში" (შემდგომში - „უნივერსიტეტი" ან ,,ავიცენა") სწავლების დისტანციურ ფორმატში (შემდგომში „ელექტრონული სწავლება" ან „დისტანციური სწავლება") განხორციელების პროცედურას, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ელექტრონული სწავლების სისტემის მეშვეობით.

1.2. წინამდებარე წესი გამოიყენება უნივერსიტეტში სწავლების დისტანციური/ელექტრონული ფორმატით განხორციელებისას, თუკი უნივერსიტეტის რექტორის ან აკადემიური საბჭოს მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

1.3. სინქრონული და/ან ასინქრონული დისტანციური სამუშაო შეხვედრებისა და ფორუმების (მათ შორის - საერთაშორისო კომუნიკაციის ფარგლებში) ჩატარებისათვის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს არსებობდეს ელექტრონული სასწავლო რესურსები და IT-ინფრასტრუქტურა.

1.4. გლობალური ან ქვეყნის მასშტაბით საგანგებო სიტუაციების (მაგალითად, პანდემიის) დროს სამედიცინო განათლების ხარისხის და პროგრამის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით, უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს მედიცინის სკოლამ კანონმდებლობით დადგენილი წესისა და პირობების საფუძველზე შეიმუშავოს შესაბამისი გეგმა ელექტრონული/დისტანციური/ნახევრად დისტანციური სწავლების განსახორციელებლად, კურიკულუმის შესაბამისი მოდიფიკაციით, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული გეგმით არ იცვლებოდეს - საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, ამასთან გათვალისწინებული იქნეს ზოგადი რეკომენდაციები დისტანციურ/ჰიბრიდულ სწავლებასთან დაკავშირებით, კერძოდ:

ა) სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია - პრაქტიკული და თეორიული კომპონენტების გადანაცვლება საგანმანათლებლო პროგრამასა და მის კომპონენტებში (სასწავლო კურსები/მოდულები);

ბ) შეფასების კომპონენტების მოდიფიცირება/ადაპტაცია;

გ) დისტანციური სწავლებისთვის საჭირო ელექტრონული რესურსებით უზრუნველყოფა;

დ) ადამიანური რესურსის დისტანციური/ჰიბრიდული სწავლებისთვის მომზადების და სასწავლო პროცესის ინტერაქტიული ფორმატით ჩატარების უზრუნველყოფა.

1.5. უნივერსიტეტში დისტანციური/ელექტრონული სწავლება ადმინისტრირებას ახორციელებს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური, უნივერსიტეტის მედიცინის სკოლასთან შეთანხმებით, ხოლო კოორდინაციას ახორციელებს აკადემიური და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით რექტორის მოადგილე (აკადემიურ ნაწილში) და ადმინისტრაციული და საფინანსო მიმართულებით რექტორის მოადგილე (საინფორმაციო რესურსების ნაწილში).

მუხლი 2. დისტანციური სწავლება

2.1. უნივერსიტეტში დისტანციური/ელექტრონული სწავლება ხორციელდება დისტანციური სწავლების აპლიკაციის/პლატფორმის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართვას.

2.2. დისტანციური სწავლება ხორციელდება სინქრონული ან ასინქრონული კომუნიკაციის ფორმით. სინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც

ინფორმაციის გამგზავნს და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება, ხოლო ასინქრონული კომუნიკაცია - ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნს და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს არ ხორციელდება.

2.3. დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტი შეიმუშავებს შერჩეული დისტანციური სწავლების აპლიკაციის/პლატფორმის გამოყენების ინსტრუქციას/ვიდეოგზამკვლევს და უზრუნველყოფს სტუდენტებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალისათვის გაცნობას.

2.4. უნივერსიტეტში დისტანციური ფორმატით სწავლების განხორციელების მიზნით სინქრონული კომუნიკაციისათვის გამოიყენება ZOOM / Google Meet პლატფორმა, ხოლო ასინქრონული კომუნიკაციისათვის სასწავლო პროცესის ელექტრონული სერვისების მართვის სისტემა, ასევე ელექტრონული ფოსტა.

2.5. სინქრონული კომუნიკაციის დროს სასწავლო კურსის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის წარმომადგენელი (შემდეგში - ლექტორი) სალექციო/საკონსულტაციო აქტივობას ახორციელებს ცხრილში მითითებულ დროს ZOOM / Google Meet პლატფორმის გამოყენებით.

2.6. სინქრონული და ასინქრონული კომუნიკაციის დროს ლექტორი სასწავლო კურსის გაციფრულებულ მასალებს, შესაბამისი ინსტრუქციით და მითითებებით, სასწავლო კურსის/კომპონენტის სპეციფიკის და მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების და სასწავლო პროცესის/კვირების ვადების/ცხრილის გათვალისწინებით, აწვდის სტუდენტებს, შესაბამისი პლატფორმის/ელექტრონული რესურსის მეშვეობით.

2.7. ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკული მეცადინეობის აქტივობები და შეფასებები უნდა განხორციელდეს სასწავლო პროცესის ელექტრონული სერვისების მართვის სისტემის მეშვეობით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და მეცადინეობების ცხრილში მითითებულ დროს.

მუხლი 3. პერსონალისა და სტუდენტთა უფლება-მოვალეობები

3.1. დისტანციური/ელექტრონული სწავლების პროცესში უნივერსიტეტის სწავლების განმახორციელებელი პერსონალი და სტუდენტები ვალდებულნი არიან გამოიყენონ უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსი და ისარგებლონ ამავე რესურსზე განთავსებული ინფორმაციით და რეკომენდაციებით, დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით.

3.2. დისტანციური/ელექტრონული სწავლების პროცესში მეცადინეობის მსვლელობისას ლექტორი და სტუდენტი ვალდებულია მეცადინეობის სრულ პერიოდში ჩართული ჰქონდეს ვიდეოკამერა.

3.3. სასწავლო პროცესის დისტანციური სწავლებით წარმართვისას განმახორციელებელმა პერსონალმა უნდა იხელმძღვანელოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს პრინციპებით, სამედიცინო განათლების დისტანციური და განაწილებული სწავლების სტანდარტები (2021 წ).

3.4. სწავლების დისტანციურად განხორციელებისას განსაკუთრებით რეკომენდებულია ე.წ. „შებრუნებული“ ლექცია/მეცადინეობა (Flipped Classroom) – როცა სტუდენტებს წინასწარ აწვდიან სალექციო თემატიკის შესახებ საინფორმაციო მასალას, ხოლო ლექციაზე უკვე მომზადებულ სტუდენტებთან ხდება თემის ინტერაქტიული განხილვა.

3.5. დისტანციური/ელექტრონული სწავლების პროცესში მონაწილე ყველა მხარე (ლექტორი, სტუდენტი, მონიტორინგის ჯგუფის წევრი) ვალდებულია მკაცრად დაიცვას „პერსონალის მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, აღნიშნულთან დაკავშირებით არსებული რეკომენდაციები და საკანონმდებლო აქტების და საუნივერსიტეტო აქტების მოთხოვნები (განთავსებული იქნება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და დაეგზავნება დისტანციური/ელექტრონული სწავლების პროცესში მონაწილე ყველა მხარეს).

მუხლი 4. დისტანციური სწავლების მონიტორინგი

4.1. დისტანციური/ელექტრონული სწავლების განხორციელების მხარდაჭერის მიზნით მედიცინის სკოლის დეკანის მიერ იქმნება დისტანციური სწავლების მართვის ჯგუფი, რომელიც სწავლების, შეფასებებისა და სხვა აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებით კონსულტაციას უწევს უნივერსიტეტის ლექტორებსა და სტუდენტებს.

4.2. დისტანციური/ელექტრონული სწავლების მიმდინარეობისას ლექციებზე, სემინარებზე, პრაქტიკულ მეცადინეობაზე დასწრებას/მონიტორინგს ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სამედიცინო სკოლის **დისტანციური სწავლების მართვის ჯგუფი.**

4.3. დისტანციური/ელექტრონული სწავლების პროცესში ლექციაზე, სემინარზე, პრაქტიკულ მეცადინეობაზე დასწრების შემთხვევაში დამსწრე პირი ვალდებულია ჩართული ქონდეს ვიდეოკამერა და მონიტორინგის დაწყებისთანავე წერილობით/ვერბალურად დააფიქსიროს დასწრების მიზანი (მაგ, ხარისხობრივი, ადმინისტრაციული ან სხვა).

4.4. დისტანციური/ელექტრონული სწავლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზი ხორციელდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, მედიცინის სკოლის შესაბამისი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, სადაც ასახულია, როგორც სწავლების მონიტორინგის, ასევე აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მხრიდან დაფიქსირებული შეფასებები, რომლის განხილვის საფუძველზეც მიიღება სწავლების გაუმჯობესების მიზნით გადაწყვეტილებები.

4.5. დისტანციური/ელექტრონული ფორმით სწავლების გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შესაბამის კვლევას, შეფასებას და რეკომენდაციების მომზადებას, რომელიც პერიოდულად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს აკადემიური და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით, რექტორის მოადგილეს ადმინისტრაციული და საფინანსო მიმართულებით და რექტორს.

4.6. დისტანციური სწავლების თაობაზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები განიხილება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს სხდომაზე.